საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბუნებრივ და სოციალური გარემოს მართვის გეგმა

შიდასახლემწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი და შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი

შ02: საჯავახო-ჩოხატაური ოზურგეთი-ქობულეთის გზის რეაბილიტაცია

კმ-54.0-კმ67.7

TNM Limited

საქართველო

2019

ნაწილი I: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები				
ქვეყანა	საქართველო			
პროექტის დასახელება	შ02: საჯავახო-ჩოხატაური ოზურგეთი-ქობულეთის გზის რეაბილიტაცია კმ-54.0-კმ67.7			
პროექტის მასშტაბი და ღონისძიებები	საგზაო ქსელის მიმდინარე მდგომარეობის დეტალური საინჟინრო შეფასების შედეგების საფუძველზე, გეომეტრიული ფუნქციების შესწავლით, საგზაო აღჭურვილობის, არხების, ხიდების, საგზაო მახასიათებლების, გზის საფარის მდგომარეობის მიხედვთ და სხვა, განისაღვრა აღნიშნული გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ადეკვატურობა. გზის მონაკვეთზე მნიშვნელოვნად დაზიანებულია ასფალტის საფარი და სადრენაჟო სისტემა. აღნიშნული გამოწვეულია საგზაო მოძრაობის, კლიმატური და გარემოსდაცვითი პირობების გამო. გზის საფარზე განვითარდა ბზარები, ორმოები, ასფალატის ჯდენა და სხვა. შესაბამისად, მიზანშეწონილია სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, რათა აღდგეს არსებული გზის ფუნქციონირება. განსახორციელებელი ღონისძიებები მოიცავს: გზის საფარის მოხსნას და ნაწილობრივ სტრუქტურის შეცვლას, რაც უცილებელია არსებული საავტომობილო გზის აღსადგენად. მათ შორის სადრენაჟე სისტემის, საყრდენი სტრუქტურებს, გვერდულების, საგზაო უსაფრთხოების ზომების, საგზაო ნიშნების, საფარის მონიშნვის, ავტობუსების გაჩერებების და ა.შ. სტრუქტურულ და ფუნქციონალურ გაუმჯობესებას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით. გზის მონაკვეთზე ზოგადი მახასიათებლებია: • გზის სიგრძე: 13.7 კმ • საგზაო საფარის ტიპი: ასფალტი • სავალი ნაწილის საშუალო სიგანე: 7 მ; • გვერდულების სიგანე: 1.0 მ; • სადრენაჟე მილები: 17 ცალი; • არხი: 2 • ხიდი: 3 ხიდი • ზოლის რაოდენობა: 2 ზოლიანი / ორი მიმართულებით			
ინსტიტუციური ორგანიზება (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	**მსოფლიო ბანკი** **(პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელი)** **აიმენ ა. ოსმან ალი**	**პროექტის მენეჯერი** **გიორგი წერეთელი**	**ადგილობრივი მოსარგებლე/ან მიმღები** **ქობულეთის მუნიციპალიტეტი**	
განხორციელების ორგანიზება (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	**მსოფლიო ბანკი** **უსაფრთხოების ზედამხედველობა** **დარეჯან კაპანაძე** გარემოს დაცვა **სოფია გეორგიევა** სოციალური	**ადგილობრივი ზედამხედველი** **TNM Limited**	**ადგილობრივი ინსპექცია**	**კონტრაქტორი** (განსასაზღვრია)
ადგილმდებარეობის აღწერა				
ობიექტის სახელი	შ02: საჯავახო-ჩოხატაური ოზურგეთი-ქობულეთის გზის რეაბილიტაცია			

	კმ-54.0-კმ67.7
ობიექტის ადგილმდებარეობის აღწერა	მოცემული გზის მონაკვეთი განთავსებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტში და გაივლის სოფელ ხაკუთის, ლეღვას, წყავროკას და მუხაესტატეს. აღნიშნული გზის მონაკვეთის მიმდებარედ განთავსებულია რამდენიმე სასაფლაო. სოფელ ლეღვას და წყავროკას შორის, ოთხ ლოკაციაზე აღინშნება ნაპირის ჩამოშლა. ლეღვა და მუხაესტატე გზის მონაკვეთზე არსებული მთავარი დასახლებებია. გზის გაყოლებაზე განთავსებული არის საჯარო სკოლა, მუნიციპალური ოფისი, კომერციული ფართები, როგორებიცაა ბენზინგასამართი სადგური, მცირე სუპერმარკეტები და ავტოშემკეთებელი დაწესებულება. ორი საშუალო სკოლაა განთავსებული 58.8 და 63 კმ-ებზე.
ვინ არის მიწის მფლობელი?	i) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრება. ii) სახელმწიფო ტყის ფონდი ეკუთვნის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული ტყის სააგენტოს (1,086,85 $м^2$). iii) სარეაბილიტაციო სამუშაოებმა გზის ამ მონაკვეთზე შესაძლოა მოახდინოს დროებითი ნეგატიური გავლენა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში მყოფ ღობეებზე.
გეოგრაფიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული და სოციო-ეკონიმიკური გარემოს აღწერა	<u>ლოკაცია:</u> აღნიშნული გზის მონაკვეთი გადის ქობულეთის მუნიციპალიტეტზე და კვეთს შემდეგ სოფლებზე: ხაკუთი, ლეღვა, წყავროკა და მუხაესტატე. <u>ჰაერი:</u> დაბალი ინტენსივობის მოძრაობიდან და ინდუსტრიული ნაგებობების ნაკლებობიდან გამომდინარე, ჰაერის პარამეტრები ნორმაშია. <u>წყალი და ნიადაგი:</u> დაბინძურება არ ფიქსირდება. <u>ფლორა:</u> მცენარეული საფარი მოცემულ არეაზე ძირითადად მოიცავს რცხილას, ფიჭვს, ევკალიპტს და კედარს. <u>ფაუნა:</u> ცხოველთა ჯიშები რომლებიც პროექტის განხორციელების არეალში ბინადრობენ, მოიცავს დათვს, შველს, ტურას და კვერნას. <u>ხმაური:</u> ხმაურის დონე დაბალია მცირე ინტენსივობის მოძრაობისა და ინდუსტრიული ნაგებობების სიმცირიდან გამომდინარე. სამშენებლო აქტივობებს ექნება მცირედი გავლენა გზის ახლოს მყოფ სოფლებში მცხოვრებ ადამიანებზე და ეს გავლენა შემოიფარგლება პერიოდული მოვლა-შენახვის ფაზაზე. <u>სოციალური/იძულებითი განსახლება:</u> გზის ამ მონაკვეთზე შემდეგი დასახლებებია განთავსებული: ხაკუთი (1211 მცხოვრები), ლეღვა (2081 მცხოვრები), წყავროკა (1359 მცხოვრები) და მუხაესტატე (2045 მცხოვრები.) პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის ნაკვეთების შესყიდვას. მოსალოდნელია დროებითი ზეგავლენა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ღობეებზე. მესაკუთრეებს ეცნობება მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ და ღობეები დაუყოვნებლივ აღდგება კონტრაქტორის მიერ. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებამდე მოპოვებული იქნება ზემოქმედებაში მოქცეული პირების წერილობითი თანხმობა.
მასალების მოპოვების ადგილმდებარეობა და მანძილი, განსაკუთრებით ინერტული მასალების, წყლის, ქვამასალის	**ინფორმაცია პროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მასალების რესურსების შესახებ:** აღწერა: მდინარეზე ინერტული მასალის კარიერი მდებარეობა: მდინარე ნატანებზე
კანონმდებლობა	

საპროექტო ღონისძიებებთან დაკავშირებული ნაციონალური და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტიის (SRAMP) განხორციელება მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის OP/BP 4.01 – გარემოზე ზემოქმედების შეფასება დებულებების შესაბამისად. აღნიშნული პოლიტიკის პრინციპების მიხედვით, მოცემულ ქვე-პროექტს გარემოზე ზემოქმედების კუთხით მიენიჭა "ბ" კატეგორია. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე გეგმა მომზადებულია OP/BP 4.01-ით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობა გზების რეაბილიტაციის პროექტისთვის არ მოითხოვს მისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებას და დამტკიცებას ან ნებართვის გაცემას. თუმცა, ეროვნული რეგულირების სისტემით: i) კონტრაქტორი კომპანია უნდა იყოს ლიცენზირებული; ii) სამშენებლო მასალების შეძენა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისგან; iii) თუ კონტრაქტორი საკუთარი კარიერის გახსნას მოინდომებს, უნდა აიღოს შესაბამისი ლიცენზია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამნისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოდან; iv) თუ კონტრაქტორს სურს გახსნას ალსფალტის ან ცემენტის საკუთარი ქარხანა, მან უნდა მიიღოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რომელშიც მოცემული იქნება დაბინძურების კონცენტრაციის ზედა ზღვარი; v) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს მყარი ნარჩენების მართვის კომპანასთან შეთანხმებულ ოფიციალურ ნაგავსაყრელზე ან ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალურად წერილობით შეთანხმებულ წინასწარ შერჩეულ ადგილზე; vi) გასხვისების დერეფანში მოქცეული ტერიტორია, რომელიც სახელმწიფო ტყის ფონდში ირიცხებოდა, ამოირიცხვის შემდგომ გადმოეცა საავტომობილო გზების დეპარტამენტს საქმიანობის განსახორციელებლად.
საჩივრების განხილვის მექანიზმი	საჩივრების განხილვის მექანიზმი ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისათვის, რომელიც მისცემს საშუალებას გასაჩივრებული იყოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც ისინი არ ეთანხმებიან. საჯარო განხილვების დროს და სამუშაოების დაწყებამდე მათთვის დარიგებული ბროშურების მეშვეობით, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები ინფორმირებულნი იქნებიან ხელმისაწვდომი საჩივრების განხილვის მექანიზმის თაობაზე. ასევე, შესაბამისი ინფორმაცია იქნება გამოქვეყნებული პროექტის ზემოქმედებების არეალში არსებული ყველა მუნიციპალიტეტის შენობის ვესტიბიულში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები სრულად იქნებიან ინფორმირებული თავიანთი უფლებებისა და სიტყვიერი თუ წერილობითი საჩივრების წარდგენის პროცედურების თაობაზე მშენებლობამდე, მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს. საჩივრების პრევენციის მიზნით თითოეული პრეტენზია დროულად და განსაკუთრებულლი ყურადღებით იქნება განხილული. საჩივრების განხილვის კომისიის საკონტაქტო პირი: **ბატონი ზაზა კაიკაციშვილი,** ქობულეთის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი **მობ: 599 85 85 48** საკონტაქტო პირი აგროვებს და არეგისტრირებს საჩივრებს სპეციალურ ჟურნალში. თუ საჩივარი გადაუჭრელია ადგილობრივ დონეზე ის გადაეცემა საავტომობილო გზების დეპარტამენტს შემდგომი რეაგირებისათვის. ნებისმიერი ინფორმაციისთვის ან რჩევისთვის, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარდგენილია შემდეგი საკონტაქტო პირები: 1. **მარიამ ბეგიაშვილი** - სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი **მობ: 577 74 40 88; 555 400 205; ელ-ფოსტა: mbegiashvili2@gmail.com** 2. **მაია ვაშაკიძე** - გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტი **მობ: 593 32 30 77; ელ-ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk** **საავტომობილო გზების დეპარტამენტი: ალ. ყაზბეგის 12, თბილისი, საქართველო** საჩივრების განხილვის კომისია ფორმირებულია საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების

	დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით, როგორც მუდმივი ფუნქციონალური სტრუქტურა, ყველა დეპარტამენტის თანამშრომლის ჩართვით. ეს მოიცავს ხელმძღვანელობას, სოციალური და გარემოს უსაფრთხოებას, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტმენტს და სხვა შესაბამის სამსახურებს (IA-ს კონკრეტული სტრუქტურის მიხედვით). თუ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გადაწყვეტილება ვერ დააკმაყოფილებს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ მომჩივან პირებს, მათ შეუძლიათ განახორციელონ შემდგომი ქმედებები და ნებისმიერი წინააღმდეგობის გარეშე შეიტანონ სარჩელი სასამართლოში (რაიონული სასამართლო).
საჯარო შეხვედრები	
განსაზღვრეთ სად და როდის ჩატარდა საჯარო შეხვედრა	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის პრინციპების განმსაზღვრელი ჩარჩო დოკუმენტი განთავსდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე და გზის მომხმარებლებთან შეხვედრა ჩატარდა 2015 წლის 14 ივლისს. წინამდებარე დოკუმენტი აიტვირთა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე, ხოლო ნაბეჭდი ფორმით მიეწოდა ქობულეთის მუნიციპალიტეტს. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაზე საჯარო კონსულტაციები ჩატარდება ქოობულეთის მუნიციპალიტეტში. ინფორმაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხილვის თარიღის, დროის და ადგილმდებარეობის შესახებ გავრცელდა გავრცელდა წინასწარ, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროექტით დაინტერესებული მხარეების მაღალი დასწრება. საჯარო განხილვის ოქმი დაერთო წინამდებარე დოკუმენტს. ასევე, პროექტის ფარგლებში მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმა (ARAP), სადაც მოცემულია კომპენსაციის გაცემის დეტალები დროებით ზემოქმედების ქვეშ არსებულ მესაკუთრეების ღობეებზე. ARAP- ის პროექტი საჯაროდ გამოქვეყნდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში და აიტვირთა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. ARAP-ის საჯარო განხილვისთვის შეხვედრა გაიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ARAP- ის საჯარო განხილვის ოქმი დაერთო საბოლოო ARAP- ს.
დანართები	
დანართი 1: პროექტის ადგილმდებარეობის რუკა; დანართი 2: მეწყრული ტერიტორიები დანართი 3: საჯარო შეხვედრის ოქმი დანართი 4: შეთანხმება ნარჩენების განთავსების შეთანხმებ (<u>წარმოდგენილი იქნება კონტრაქტორის მიერ</u>); დანართი 5: კარიერით სარგებლობის ლიცენზია (<u>საჭიროებისამებრ, წარმოდგენილი იქნება კონტრაქტორის მიერ</u>); ასფალტის ქარხნის საექსპლოატაციო შეთანხმება (<u>საჭიროებისამებრ, წარმოდგენილი იქნება კონტრაქტორის მიერ</u>);	

ნაწილი II: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სკრინინგი უსაფრთხოების პოლიტიკის ასამოქმედებლად			
	სამუშაოები/საკითხი	**სტატუსი**	**გამშვები მექანიზმი**
მოიცავს თუ არა ობიექტზე მიმდინარე სამუშაოები შემდეგიდან რომელიმე ქმედებას?	1. გზის რეაბილიტაცია	[X] დიახ [ ] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,ა"
	2. ახალი მცირემაშტაბიანი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა	[ ] დიახ [X] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,ა"
	3. გავლენა ზედაპირულ სადრენაჟო სისტემაზე	[X] დიახ [ ] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,ბ"
	4. ისტორიული ნაგებობა(ები) და ოლქები	[ ] დიახ[X] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,გ"
	5. მიწის შესყიდვა [1]	[ ] დიახ [X] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,დ"
	6. სახიფათო ან დოქსიკური მასალები [2]	[ ] დიახ [X] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,ე"
	7. ზეგავლენა ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[X] დიახ [] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,ვ"
	8. აუფეთქებელი ჭურვების არსებობის რისკი	[ ] დიახ [X] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,ზ"
	9. სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[X] დიახ [ ] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,თ"
	10. ზემოქმედება კერძო საკუთრებაზე და გამოყენება	[X] დიახ [ ] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,ი"
	11. სოციალური რისკები	[X] დიახ [ ] არა	თუ "დიახ", იხ, ნაწილი ,,კ"

1. მიწების შესყიდვა მოიცავს ხალხის ადგილმონაცვლეობას, ცხოვრების წესის შეცვლას, ეს ეხება იმ მიწას რომლის შესყიდვა/გადაცემა მოხდა და გავლენა აქვს იმ პირებზე, ვინც ცხოვრობს და/ან უკანონოდ იმყოფება და/ან ეწევა ბიზნეს საქმიანობას (ჯიხურები) იმ მიწაზე, რომლის შეძენაც მოხდა.

2. ტოქსიკური/სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ასბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე გამხსნელი ნივთიერებები, ტყვიის შემცველი საღებავების მოცილება და სხვა.

ნაწილი III: შემამსუბუქებელი ღონისძიებები

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ღონისძიებების კითხვარი
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება	(ა) ადგილობრიბვი მშენებლობის და გარემოს დაცვის ინსპექციის და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები ინფორმირებული უნდა იყვნენ მოსალოდნელი სამუშაოების შესახებ. (ბ) საზოგადეობას ინფრომაცია მიეწოდება სამუშაოების შესახებ მედიის საშუალებით და/ან საჯაროდ ხელმისაწვდომ ობიექტებზე (მათ შორის სამშენებლო მოედანი) სათანადო შეტყობინების გაგზავნის გზით. (გ) გზის მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა იურიდიული ნებართვა უნდა იქნას მოპოვებული. (დ) მუშათა პირადი უსაფრთხოების აღჭურვა პერსონალური დამცავი საშუალებებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს (ყოველთვის უნდა ატარონ ჩაფხუტები, ნიღბები და უსაფრთხოების სათვალე, დამცავი ფეხსაცმელები). კონტრაქტორი ფორმალურად უნდა იყოს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად, რათა შემცირდეს ზემოქმედება ახლომდებარე მოსახლეობაზე და გარემოზე. (ე) სამშენებლო მოედანზე თვალსაჩინო ადგილებში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი და შემახსენებელი ნიშნები გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ქცევის ნორმების შესახებ. (ვ) თვალსაჩინო ადგლას უნდა განთავსდეს საკონტაქტო ინფორმაცია, რათა ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს და პროექტის გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანებს საშუალება ქონდეს კითხვების დასმის და საჩივრის გამოთქმის.
ა. ძირითადი სარეაბიიტაციო და/ან სამშენებლო ღონისძიებები	ჰაერის ხარისხი	(ა) მიწის სამუშაოების და მასალების დატვირთვა-ჩამოტვირთვის დროს უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებლი ზედმეტი მტვრის წარმოქმნა (როგორიც არის, მასალების ჩამოგდება მაღალი სიმაღლიდან დატვირთვა-ჩამოტვირთვის დროს). (ბ) ნანგრევები, ამოღებული მიწა და აგრეგატები უნდა განთავსდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე და პერიოდულად მოირწყას, რათა შემცირდეს მტვრის წარმოშობა. (გ) პნევმატური ბურღვის ან საფარის მტვრევის და გზის საფუძვლების დაშლის სამუშაოების დროს წარმოქმნილი მტვერი უნდა შემცირდეს მორწყვის საშუალებით და/ან ობიეტზე უნდა დამონტაჟდეს მტვრის შემაკავებელი მოწყობილობები. (დ) მიმდებარე ტერიტორიაზე (ტროტუარი, გზა) არ უნდა იყოს სამშენებლო ნარჩენები და მიწა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მტვრის წარმოქმნა. (ე) სამშენებლო ნარჩენების/ნაგვის ღიად დაწვა არ დაიშვება სამშენებლო მოედანზე. (ვ) მანქანა-დანადგარები შესაბამისობაში უნდა იყოს ემისიების წარმოშობის რეგულაციებთან, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი სათანადო ტექნიკური რემონტი და მოედანი თავისუფალი უნდა იყოს ზედმეტი არასაჭიროდ მდგომი სამშენებლო მექანიზმებისგან.
	ხმაური	(ა) დღის საათებში სამშენებლო ხმაურის შეზღუდვა. (ბ) სკოლების და საავადმყოფოების შემოგარენში დამატებით განხორციელდეს ხმარურის მართვა. (გ) გენერატორების, ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის თავსახურები მუშაობის პერიოდში დაკეტილი უნდა იყოს და დანადგარები უნდა განთავსდეს დასახლებული პუნქტებიდან რაც შეიძლება შორს.

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ღონისძიებების კითხვარი
	წყლის ხარისხი	(ა) ობიექტზე უნდა გატარდეს ეროზიისა და სედიმენტების კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები, როგორიცაა მაგალითად: თივის ზვინები და/ან შლამსაჭერი, რათა თავიდან იქნეს აუცილებული ნალექის სამშენებლო მოედნიდან გამოტანა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი საკანალიზაციო სისტემების, ახლომდებარე ღელეების და მდინარეების დაბინძურება.
	ნარჩენების მართვა	(ა) წინასწარ შეირჩეს და მოპოვებული იქნას ფორმალური ნებართვა/შეთანხმება ნარჩენების მოგროვებისთვის და გადასაყრელად და ნარჩენების მოსაგროვებელი და გადასაყრელი ადგილები განსაზღვრული უნდა იყოს ყველა ტიპის ნარჩენისთვის, რომელიც წარმოიშვება მიწის სამუშაოების, დემონტაჟისა და სამშენებლო სამუშაოების შედეგად. (ბ) მშენებლობის და დემონტაჟის შედაგად დარჩენილი მინერალური ნაგავი/ნარჩენები უნდა განცალკევდეს საერთო, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან და ადგილზე დახარისხდეს და შეიქმნას შესაბამისი შემნახველი კონტეინერები. (გ) ყველა ტიპის ნარჩენი უნდა იქნას გატანილი არსებულ ფორმალურად შეთანხმებულ და მკაცრად კონკრეტულად განსაზღვრულ ადგილზე. (დ) შეძლებისდაგვარად გადამუშავდეს ან ხელმეორედ გამოყენებულ იქნას არატოქსიური მასალები.
ბ. გავლენა ზედაპირულ სადრენაჟო სისტემაზე	წყლის ხარისხი	(ა) ადგილი არ უნდა ჰქონდეს გრუნტის წყლების არაკონტროლირებად მოპოვებას, არც ტექნიკური წყლების, ცემენტის ხსნარის ან სხვა დაბინძურებული წყლების არაკონტროლირებად დაცლას მიწაზე ან ზოგადად ბუნებრივ გარემოში; სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს წყლის მოპოვების და დაცლის ყველა საჭირო ლიცენზია და ნებართვა. (ბ) მოეწყოს და განხორციელდეს სათანადო სანიაღვრე წყლების სისტემა, ისე რომ შლამით არ ამოქოლოს, დააბინძუროს ან დაბლოკოს ან სხვაგვარად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ბუნებრივ ნაკადულებზე/ღელეებზე, მდინარეებზე, წყალსადავებსა და ტბებზე. (გ) გაეცნოს და დაცული იქნას პროცედურები რათა თავიდან იქნას აცილებული საწვავის, საპოხი მასალების და ტოქსიური და მავნე ნითიერებების შემთხვევითი დაღვრა. (დ) სამშენებლო მანქანები და დანადგარები გაირეცხოს მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში, სადაც წყლის გადინება არ დააბინძურებს ბუნებრივი წყლის ზედაპირს.
გ. ისტორიული ძეგლი(ები)	კულტურული მემკვიდრეობა	(ა) იმ შემთხვევაში თუ მშენებლობა ხორციელდება ისტორიული ნაგებობების სიახლოვეს, ან ისტორიულ უბანში, უნდა მოხდეს შეტყობინება და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოებიდან თანხმობის/ნებართვების აღება. ყველა სახის სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ადგილობრივი და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. (ბ) ექსკავაციის ან მშენებლობის დროს უძველესი ხანის კულტურული ნაშთების ან სხვა შესაძლო არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებელია ამ ფაქტის დაფიქსირება და რეგისტრირება, პასუხისმგებელი ოფიციალური უწყებების საქმის კურსში ჩაყენება და სამუშაოების შეჩერება ან შეცვლა წარმოშობილი გარემოების გათვალისწინებით.
დ. მიწების შესყიდვა	განსახლების სამოქმედო გეგმა/ჩარჩო	ა) თუ სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო გახდა ნაკვეთზე შესვლა, არ შეხვიდეთ აღნიშნულ ნაკვეთზე სანამ არ მიიღებთ დამკვეთისგან ფორმალურ შეტყობინებას განსახლების და კომპენსაციის გადახდის დასრულებზე. სამუშაოები

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ღონისძიებების კითხვარი
	დოკუმენტი	დაშვებულია მსობლიო ბანკის და დამკვეთის მიერ განსახლების დასრულების ანგარიშის დამტკიცების შემდგომ. ბ) არასათანადო ან არასრული განსახლების კომპენსაციის შესახებ საზოგადოებრივი საჩივრების წარმოშობის შეთხვევაში, უნდა შეჩერდეს ყველა აქტივობა, საჩივრები შევიდეს ჩანაწერების ჟურნალში და დაუყოვნებლივ ეცნობოს დამკვეთს. დამკვეთის ფორმალური შეტყობინების მიღებამდე არ აღდგეს სამუშაოები.
ე. ტოქსიკური მასალები	ასბესტის მართვა	(ა) სამშენებლო მოედანზე ასბესტის არსებობის შემთხვევაში, იგი მკაფიოდ უნდა მოინიშნოს როგორც სახიფათო მასალა. (ბ) შესაძლებლობის შემთხვევაში, ასბესტი სათანადო ნორმების დაცვით უნდა განთავსდეს კონტეინერებში და დაილუქოს მავნე ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირების მიზნით. (გ) გატანამდე (თუ გატანა აუცილებელია) ასბესტი უნდა დამუშავდეს დამატენიანებელი ნივთიერებით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ჰაერში ასბესტის მტვრის ნაწილაკების მოხვედრა. (დ) ასბესტის მართვა და გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი და პროფესიონალი სპეციალისტების მიერ. (ე) ასბესტის დროებით შენახვის შემთხვევაში, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა მოთავსდეს ჰერმეტულ კონტეინერებში და სათანადოდ მოინიშნოს. მიღებული იქნება უსაფრთხოების ზომები ობიექტიდან ასბესტის უნებართვოდ გატანის წინააღმდეგ. (ვ) არ შეიძლება ერთხელ გატანილი ასბესტის ხელმეორედ გამოყენება
	ტოქსიკური / სახიფათო ნარჩენების მართვა	(ა) სამშენებლო უბანზე სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებების დროებითი შენახვა უნდა მოხდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც მითითებული იქნება ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებებისა და გამოყენების შესახებ. (ბ) სახიფათი ნივთიერებების შემცველი კონტეინერები დაღვრის თავიდან აცილების მიზნით უნდა მოთავსდეს ჰერმეტულ კონტეინერებში. (გ) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალური ლიცენზირებული გადამტანების მიერ. ნარჩენები უნდა განთავსდეს ლიცენზირებულ ადგილას. (დ) არ მოხდება ტოქსიკური შემადგენლობის მქონე საღებავების ან გამხსნელების და ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება.
ვ. ტყეებზე, ჭაობიან და/ ან დაცულ ტერიტორიებზე ზეგავლენა	ეკოსისტემის დაცვა	(ა) დაუშვებელია სახელმწიფო ტყის ფონდის კუთვნილ ტერიტორიებზე სამუშაოების განხორციელება ამორიცხვის პროცედურის დასრულებამდე (ბ) ხეების ჭრა უნდა დაყვანნილი უნდა იქნას მინიმუმამდე, მისასვლელი გზების მიმართულების რეგულირების საშუალებით, ასევე მცირე გაბარიტიანი ტექნიკისა და მუშა-ხელის გამოყენებით ინდივიდუალური ლოკაციებისთვის. (გ) თითოეული მოსაჭრელი ხე უნდა იქნას მარკირებული და მოჭრის შემდგომ დაფიქსირდეს ჟურნალში.

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ღონისძიებების კითხვარი
ზ. აუფეთქებელი საბრძოლო მასალების არსებობის რისკი (UXO)	ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები	(ა) ექსკავაციის სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი უნდა დარწმუნდეს, რომ სამშენებლო უბანი შესაბამისი ორგანოების მიერ შემოწმებული და გასუფთავებულია ასაფეთქებელი მოწყობილობებისგან
თ. სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო ღონისძიებების პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ფეხით მოსიარულეებზე	ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო უბნის სათანადო უსაფრთხოება და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ა) საინფორმაციო და გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და მოძრაობის გადართვა: მშენებლობის ადგილზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგი ხილვადობა და საზოგადოების გაფრთხილება შესაძლო რისკების შესახებ; ბ) სატრანსპორტო მოძრაობის მართვის სისტემა და თანამშრომელთა ტრეინინგი, განსაკუთრებით ობიექტთან მისვლისა და სამშენებლო უბნის სიახლოვეს დატვირთული მოძრაობის საკითხებზე. ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გასასვლელებისა და გზაჯვარედინების უზრუნველყოფა იმ ადგილებში, სადაც მშენებლობა აფერხებს მოძრაობას. გ) სამუშაო საათების რეგულირება ადგილობრივი მოძრაობის სქემის შესაბამისად, მაგ: პიკის საათებში ან საქონლის მოძრაობის დროს ძირითადი ტრანსპორტის გადაადგილების თავიდან აცილება. დ) საჭიროების შემთხვევში, საგზაო მოძრაობის აქტიური რეგულირება ობიექტზე გაწვრთნილი პერსონალის მიერ საზოგადოების უსაფრთხო გადაადგილებისათვის. ე) თუ სკოლის მოსწავლეები იმყოფებიან სიახლოვეს, სასწავლო საათების პერიოდში მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა უსაფრთხოების პერსონალი მეშვეობით; ვ) მშენებლობის პერიოდში ახლომდებარე სამუშაო დაწესებულებებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებლებთან უსაფრთხო და შეუფერხებელი მისასვლელების უზრუნველყოფა
ი. ზემოქმედება მიწის საკუთრებაზე და გამოყენებაზე	მიწაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა /დაკარგვა	ა) ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე/აქტივებზე შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბ) გზის სამუშაოების დაგეგმვა ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და აქტივებზე შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა, რაც შეილება მიღწეულ იქნას გზებზე ჩასატარებელი სამუშაოებისა და შესაბამისი ღონისძებების დაგეგმვისა და განხორციელებისა ადგილობრივ მოსახლეობის წარმომადგენლებთან მუდმივი კოორდინაციით
	დროებითი ზემოქმედება კერძო საკუთრებაში არსებულ აქტივებზე	ა) კერძო საკუთრების გადაფარვის ან შემთხვევით დაზიანების თავიდან აცილება (კედლებთან და ღობეებთან ახლოს, მცირე გაბარიტიანი ტექნიკის გამოყენებით ან სამშაოების ხელით ჩატარების გზით, სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დასაწყობებით ერძო საკუთრებაში არსებულლი ტერიტორიებიდან მოშორებით და ა.შ.); ბ) კერძო საკუთრების გაუთვალისწინებელი დაზიანების შემთხვევაში, მოხდეს მისი სწრაფად აღდგენა თავდაპირველ ან უკეთეს მდგომრეობაში; გ) იმ შემთხვეაში, თუ მოსალოდნელია კერძო საკუთრებაზე დროებითი ზემოქმედება, მოხდეს მესაკუთრეთა წინასწარი ინფორმირება და მიეცეთ დაზიანებული ქონების აღდგენის გარანტია, წინასწარ მოხდეს კერძო მესაკუთრეებისგან წერილობითი თანხმობების მოპოვება, მათ საკუთრების ხელყოფისა და დაზიანების პირვანდელ ან უკეთეს მდგომარეობამდე დაუყოვნებლივ აღდგენისს თაობაზე;

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ღონისძიებების კითხვარი
		დ) იმ შემთხვევავაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოიქმნება მიწის ჩამორთმევის მოულოდნელი საჭიროება, დაუშვებელია ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნკვეთზე შესვლა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებამდე და მის სრულ განხორციელებამდე.
	შემოსავლების ან აქტივების დაკარგვა არასანქცირებული ჩარევის შედეგად, ტერიტორიის დაკავება სამშენებლო დერეფნის გარეთ	ა) თავიდან იქნას აცილებული, სამშენებლო დერეფნის გარეთ არსებულ ტერიტორიაზე არასანქცირებული ჩარევა; ბ) თუ ასეთი ზემოქმედება დადგება, სამშენებლო კომპანიის მუშების დაუდევრობით, უნდა მოხდეს შემთხვევის / საჩივრის დაფიქსირება, შეფასდეს ზარალი და გაიმართოს მოლაპარაკება დაზარალებულ მესაკუთრესთან ARAP-ში (შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა) აღწერილი პრინციპებსა და შეფასების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და უზრუნველყოს სამართლიანი ფულადი კომპენსაცია სამშენებლო კომპანიის კუთვნილი ბიუჯეტიდან; გ) იმ შემთხვევაში გადაწვეტილების მიღება ვერ ხერხდება მოლაპარაკების გზით, გამოყენელულ იქნას GRM-ის (საჩივრების განხილვისა და გადაჭრის მექანიზმი) პროცედურები.
კ. სოციალური ზეგავლენა	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი	ა) კონტრაქტორის მხირდან გამოიყოს პასუხისმგებელი პირი ვინც ადგილობრივი მოსახლეობისგან მიიღებს თხოვნებს/საჩივრებს; ბ) გაუწევს კონსულტაციებს ადგილობრივ თემებს დასაქმებული პერსონალისა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტის იდენტიფიცირებასა და მათი მართვის შესახებ; გ) ადგილობრივი თემების ცნობიერების ამაღლება სექსუალური გზით გადამდებ დაავადებების შსახებ, რომლებიც შესაძლებელია გავრცელდეს ჩასულ პერსონალსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის; დ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება მშენებლობის და სამუშაო გრაფიკების მომსახურების შეწყვეტის, საგზაო მოძრაობის მიმართულებების და დროებითი ავტობუსის მარშრუტების, დანერგვითი სამუშაოების შესახებ; ე) საამშენებლო სამუშაოები შეზღუდულ იქნეს ღამით. აუცილებლობის შემთხვევაში, დაგეგმილი ღამის სამუშაოების შესახებ მოხდეს საზოგადოების ინფორმირება, რათა მათ მიიღონ შესაბამის ზომები; ვ) ადგილობრივი მოსახლეობის გაფრთხილება მოხდეს, მინიმუმ ხუთი დღით ადრე შეფერხების შესახებ (წყლის, ელექტროენერგიის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების ჩათვლით), გასცენ შესაბამისი რეკომენდაციები ინფორმაციის, სამუშაო ადგილზე, ავტობუსის გაჩერებაზე, ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილ სახლებზე/ბიზნეს ობიექტებზე განთავსებით; დამსაქმებლის მიერ დადგენილი ვადების უზრუნველყოფა გამოვლენილი საჩივრების განხილვის მექანიზმის მეშვეობით, კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში;
	მუშახელის მენეჯმენტი	ა) თემიდან რაც შეიძლება მოშორებით განლაგდეს სამუშაო ბანაკები. ბ) მეზობელ თემებთან კონსულტაციების საფუძველზე განალაგებს და ექსპლუატაციას გაუწევს მუშაკთა ბანაკებს. გ) კონტრაქტორი დაასაქმებს ადგილობრივი თემების არაკვალიფიციურ ან ნახევრად კვალიფიციურ მაცხოვრებლებს, განახორციელებს მათ გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას რათა გაზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. დ) კონტრაქტორი ობიექტს უზრუნველყოფს ჰიგიენური ნორმების დაცვით მოწყობილ ბანაკებით (ბანაკები უზრუნველყოფილი იქნება საპირფარეშოებითა და სამრეცხაო ადგილებით, ცხელი და ცივი წყლით, საპნით და ხელის გასამშრალებელი მოწყობილეობით), ნებისმიერ ბანაკის მშენებლობა უნდა მოხდეს გარემოს დაცვითი ნორმების დაცვით.

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ღონისძიებების კითხვარი
		ე) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრირებას, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ქცევის კოდექსის გათვალისწინებით..

ნაწილი IV: მონიტორინგის გეგმა

მშენებლობის ფაზა

საქმიანობა	**რა** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრებზე მონიტორინგი?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატო** (არის პარამეტრები მონიტორინგის ქვეშ?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
სამშენებლო მასალების მომარაგება	სამშენებლო მასალების შეძენა ოფიციალური არხებით რეგისტრიტებული მომწოდებლებისგან	მასალების მომწოდებლების ოფისში ან საწყობ ბაზაზე, და კარიერზე	საბუთების შემოწმება; ხარისხის შემოიწმება.	მასალებით მომარაგებისთვის ხელშეკრულებების გაფორმებისას	მშენებლობის ტექნიკური ხარისხის უზრუნველყოფა ადამიანების ჯანმრთელობის და გარემოს დაცვა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)
სამუშაოები რომლებიც ტარდება ტყით დაფარულ ტერიტორიაზე	დაუშვებელია სამშაოების ჩატარება ტერიტორიაზე, რომელიც არის სახელმწიფო ტყის ფონდის ბალანსზე, სანამ არ დასრულდება შესაბამისი პროცედურა; სამშენებლო აღჭურვილობა ან სხვა აქტივობებმა არ უნდა გამოიწვიოს ხეების და მცენარეების დაზიანება, თუ ეს აქტივობები აუცილებელი არაა გზის საფარისა და გზის გვერდულების მოსაწყობად; თითოეული ხე უნდა მოინიშნოს და აღირიცხოს მოჭრის შემდგომ.	ობიექტი ტყით დაფარულ ტერიტორიაზე; კონტრაქტორის ოფისი.	დოკუმენტაციის შემოწმება; ვიზუალური შემოწმება.	სამუშაოების დაწყებამდე და მისი განხორიცელებისას ტყით დაფარულ ტერიტორიაზე.	უზრუნველყოს ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა; შეამციროს გავლენა ტყიან არეაზე; ხეების მოჭრის დროს წარმოებული ჩანაწერების ჟურნალების მოწოდება.	სგდ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო ტყის ფონდი

საქმიანობა	**რა** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრებზე მონიტორინგი?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატო** (არის პარამეტრები მონიტორინგის ქვეშ?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება	სატვირთო მანქანების და საგზაო სამშენებლო ტექნიკის გამართულობა; ძარის სრულფასოვნება და ტვირთის დაცულობა საფარი მასალით; ტექნიკის გადაადგილება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით.	საშენი მასალებისა და სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირების მარშრუტები	სამშენებლო ობიექტთან მიმდებარე გზების ინსპექტირება გადაადგილების მარშრუტების მიმართულებებით	წინასწარ განუცხადებელი შემოწმება სამუშაო საათებში	ემისიის შედეგად ნიადაგის და ჰაერის დაბინძურების თავიდან ასარიდებლად; საავტომობილო მოძრაობის შეფერხების შემცირება.	სგდ საპატრულო პოლიცია
სამშენებლო ტექნიკის ოპერირება ობიექტზე	სამშენებლო ტექნიკის გამართული მუშაობა: - გამონაბოლქვის სიჭარბე; - საწვავ-საპოხის ჟონვა; - სამუშაო საათების დაცულობა; - ნარგავების დაზიანება თუ ის არ არის განკუთვნილი გზის მშენებლობისთვის.	სამშენებლო ობიექტი	სამუშაოების ინსპექტირება	სამუშაო და არასამუშაო საათებში	ტექნიკის ოპერირებისაგან ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების შესამცირება; -მოსახლეობის ხმაურითა და ვიბრაციით შეწუხების შემცირება	(სგდ)
სამშენებლო ტექნიკის მომსახურება	ავტომობილების და ტექნიკის რეცხვა სამშენებლო ობიექტის გარეთ ან მდინარიდან მაქსიმალურად მოცილებულ ადგილას; ტექნიკის გამართვა საწვავ-საპოხით სამშენებლო ობვიექტს გარეთ ან ობიექტზე მოწყობილ საგანგებო პუნქტში;	სამშენებლო ობიექტი და მასთან არსებული სამშენებლო ბაზა (თუკი იარსებებს)	სამუშაოების ინსპექტირება	ტექნიკის ოპერირების სრულ პერიოდში	ტექნიკის მომსახურებისაგან ნიადაგისა და წყლის ნავთობპროდუქტებით დაბინძურების თავიდან არიდება; აალებადი ნივთიერებებისგან ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მისი	სგდ

საქმიანობა	**რა** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრებზე მონიტორინგი?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატო** (არის პარამეტრები მონიტორინგის ქვეშ?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
	ტექნიკის მომსახურების პუნქტის ტექნიკური გამართულობა: - მყარი გაუმტარი იატაკი ან ადსორბენტის (ქვიშა, წვრილი ხრეში, მემბრანა) საფარი - საკმაო ფართობი და გაუმტარი ბარიერები საწვავის კონტეინერთა გარშემო - საბაზისო ცეცხლმაქრი საშუალებები - სალექარები მანქანების სამრეცხაოსთან				დროული ლოკალიზების უნზრუნველსაყოფი დთვის მზადყოფნა და მოსალოდნელი ზარალის შემცირება.	
ინერტული მასალების მოპოვება	ინერტული მასალების შეძენა არსებული მომპოვებლებისგან თუკი ამის საშუალება არსებობს; მშენებელი კონტრაქტორის მიერ ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიის მოპოვება და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების ტერასული დამუშავება, დამუშავებულ უბნებზე ნარჩენი მასალის უკუჩაყრა და ლადშაფტთან ჰარმონიზაცია; ქვიშა-ღორღის ამოღება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ხრეშის მიწაყრილების მოწყობა წყლის ნაკადისა და თხრილს შორის და	ინერტული მასალის კარიერები	საბუთების შემოწმება სამუშაოების ინსპექტირება	მასალათა მოპოვების პერიოდი	ფერდობების ეროზიის, ეკოსისტემისა და ლანდჩაფტის დაზიანების შემცირება; მდინარეთა ნაპირების ეროზიის, წყლის ნაკადის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებისა და წყლის ეკოსისტემებზე ზემოქმედების შემცირება; პირუტყვისა და	სდგ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო

საქმიანობა	**რა** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრებზე მონიტორინგი?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატო** (არის პარამეტრები მონიტორინგის ქვეშ?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
	წყლის ნაკადში სამშენებლო ტექნიკის შეუყვანლად; კარიერებზე გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება.				მოსახლეობის დაცვა დაზიანებისგან.	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	ინერტული და სახიფათო სამშენებლო ნარჩენების განცალკევებით დროებითი დასაწყობება განსაზღვრულ ადგილებში; ნარჩენების დროული გატანა წინასწარ წერილობით ნებადართულ ადგილებში; სახიფათო ნარჩენების ჩაბარება მათი უვნებელყოფისა და განთავსების ლიცენზიის მქონე კომპანიებისთვის	სამშენებლო ობიექტი; ნაგავსაყრელი; ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილები.	დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერება და ინსპექტირება	მშენებლობის სრულ პერიოდში	სამშენებლო ობიექტის და ახლო ტერიტორიის მყარი ნარჩენებისგან დაბინძურების პრევენცია	სგდ
საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ობიექტზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების განთავსება (არსებობის შემთხვევაში); შეთანხმება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული გატანის თაობაზე	სამშენებლო ობიექტი და მასთან არსებული სამშენებლო ბაზა (თუკი იარსებებს)	ვიზუალური ინსპექტირება	მშენებლობის სრულ პერიოდში	საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ნიადაგისა და წყლის დაბინძურების აღსაკვეთად	სგდ

საქმიანობა	**რა** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრებზე მონიტორინგი?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატო** (არის პარამეტრები მონიტორინგის ქვეშ?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
თხევადი ნარჩენის წარმოქმნა	სამშენებლო ობიექტზე (არსებობის შემთხვევაში) სანიტარულ ნორმებთან შესატყვისი ტუალეტის მოწყობა; სამშენებლო ობიექტიდან წვიმის წყლის შეგროვებისა და გადინებისთვის სადრენაჟო სისტემის მოწყობა და პერიოდული გაწმენდა; საყოფაცხოვრებოდ და ტექნიკის სარეცხად გამოყენებული წყლის სალექარი გუბურის მოწყობა.	სამშენებლო ობიექტი და მასთან არსებული სამშენებლო ბაზა (თუკი იარსებებს)	ვიზუალური ინსპექტირება	მშენებლობის სრულ პერიოდში გახშირებული რეჟიმით ძლიერი ნალექიანობის შემთხვევაში	სამშენებლო ობიექტის დატბორვისა და ამით საქმიანობის გაძნელების აღსაკვეთად; ზედაპირული და გრუნტის წყლის დაბინძურების შესამცირებლად.	სგდ
ასფალტ-ბეტონის ქარხნის ოპერირება	მშენებლი კონტრაქტორის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვება და მისი პირობების განუხრელი დაცვა; ქარხნის დასამონტაჟებლად იმგვარი ადგილის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მინიმალურ შეწუხებას ხმაურით, მტვრითა და გამონაბოლქვით; ქარხნიდან ჩამდინარე წყლის სალექრი გუბურის მოწყობა.	სამშენებლო ობიექტი და მასთან არსებული სამშენებლო ბაზა (თუკი იარსებებს)	დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერება და ინსპექტირება	ქარხნის სამოტაჟო სამუშაოებამდე და მისი ოპერირების სრულ პერიოდში	სამშენებლო ობიექტის სიახლოვეს მოსახლეობის შეწუხების შესამცირებლად; ატმოსფერული ჰაერისა და ზედაპირული წყლის დაბინძურების შესამცირებლად.	სგდ სოფლის მეურნეობისა და გარემოსდაცვის სამინისტროს გარემოსდაცვის სააგენტო
დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოება	მშენებელთა უზრუნველყოფა სპეცტანსაცმლით და პერსონალური დამცავი აღჭურვილობით და მათი გამოყენების მითითებით;	სამშენებლო ობიექტი	საქმიანობის ინსპექტირება	მშენებლობის სრულ პერიოდში	მშენებლობის სრულ პერიოდში	სგდ

საქმიანობა	**რა** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრებზე მონიტორინგი?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატო** (არის პარამეტრები მონიტორინგის ქვეშ?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
	სამშენებლო დანადგარების და ტექნიკის ექსპლუატაციის წესების შესაბამისობა					
სამუშაოები კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებთან, შენობა-ნაგებობებთან და სხვა აქტივებთან ახლოს	კერძო საკუთრებაში შეჭრისგან ან მისი შემთხვევითი დაზიანებისგან თავის არიდება (კედლებთან და ღობეებთან მცირე ზომის ტექნიკის ან ხელით სამუშაოს გამოყენებით, სამშენებლო მასალების და ნარჩენების მოგროვება და დასაწყობება კერძო საკუთრებიდან მოშორებით და ა.შ.) კერძო საკუთრების გაუთვალისწინებელი დაზიანების შემთხვევაში მისი სრაფი აღდგენა მსგავს ან უკეთეს მდგომარეობაში; კერძო საკუთრებაზე მოსალოდნელი ზიანის შემთხვევაში, მფლობელის წინასწარ ინფორმირება და ზიანის აღდგენის გარანტირება, მფლობელისგან წერილობითი თანხმობის მოპოვება მის კერძო საკუთრებაზე შეჭრისთვის და შემდგომ სრაფი აღდგენა მსგავს ან უკეთეს მდგომარეობაში;	სამუშაოები კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებთან, შენობა-ნაგებობებთან და სხვა აქტივებთან ახლოს	მონიტორინგი და ინსპექტირება	მშენებლობის სრულ პერიოდში	კერძო საკუთრების დაზიანების ალბათობის შემცირება; კერძო საკუთრების მფლობელთა და/ან მომხმარებლთა უფლებების დროებით ან მუდმივად დარღვევის გამორიცხვა	სგდ

საქმიანობა	**რა** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრებზე მონიტორინგი?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატო** (არის პარამეტრები მონიტორინგის ქვეშ?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
	სამუშაოების წარმოების დროს მიწაზე უფლებების მოპოვების საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში, არ შეხვიდეთ კერძო საკუთრებაში სანამ არ შემუშავდება და არ განხორციელდება განსახლების გეგმა საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ					

საქმიანობა	რა (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	სად (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრებზე მონიტორინგი?)	როდის (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	რატო (არის პარამეტრები მონიტორინგის ქვეშ?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
გზის სავალი ნაწილისა და მისი გვერდულების მომსახურება	მგზავრებისა და მძღოლების მიერ დატოვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული შეგროვება და გატანა; გზაზე დაღუპული ცხოველთა ნარჩენების დროული გატანა.	გზის მიმდებარე ტერიტორია და არხები	ინსპექტირება	კვარტალურად	გარემოს დაბინძურებისაგან დასაცავად; გზაზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად	სგდ
სადრენაჟო არხების გამტარიანობის შენარჩუნება	არხების რეგულარული გასუფთავება დანალექისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან	გზის გასწვრივ არსებული სადრენაჟო არხები	ვიზუალური დათვალიერება	კვარტალურად	დრენაჟის სისტემის გამართულობის უზრუნველსაყოფად გზის დატბორვისა და წყლისგან დაზიანების თავიდან ასარიდებლად	სგდ

საქმიანობა	**რა** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრებზე მონიტორინგი?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატო** (არის პარამეტრები მონიტორინგის ქვეშ?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
ავარიული დაღვრებისას ადგილის ლოკალიზება და დაბინძურებული ადგილის დასუფთავება	ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაღვრილი ან გაფრქვეული თხევადი ან ფხვიერი ტვირთების ნარჩენების დროული შეგროვება, გაუვნებელყოფა და გატანა	გზაზე და მის სიახლოვეს	ინსპექტირება	ავტოსაგზაო შემთხვევებისას, საჭიროების მიხედვით	გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად	სგდ საპატრულო პოლიცია

დანართი 1: პროექტის ადგილმდებარეობის რუკა
შ-02; გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთი კმ 54 - კმ 67.7



დანართი 2: მეწყერული ტერიტორიები

Road Km 60+120

Road km 61+950

Road Km 62+730

Road km 63+615

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებისათვის შ-02 საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი ბუნებრივი და სოციალურ გარემოს მართვის გეგმისა (ESMP) და შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის (ARAP) საჯარო განხილვის

ოქმი

30 მაისი 2019 წელი **ქობულეთის მუნიციპალიტეტი**

სხდომის თავმჯდომარე – მაია ვაშაკიძე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტი

სხდომის მდივანი - ლუკა კეშელავა, ადგილობრივი ზედამხედველი კომპანიის წარმომადგენელი

მომხსენებლები: მაია ვაშაკიძე - საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტი

მარიამ ბეგიაშვილი - საავტომობილო გზების დეპარტამენტის სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი

ლელა შათირიშვილი - ადგილობრივი ზედამხედველი კომპანიის წარმომადგენელი, TNM

სხდომას ესწრებოდნენ: იხ. დანართი 1

საჯარო განხილვის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება პროექტით დაგეგმილი სამუშაოების მნიშვნელობის, არსისა და ვადების შესახებ. აგრეთვე, განხილული იქნა საგზაო სამუშაოების განხორციელების დროს შესაძლო გარემოს დაცვითი და სოციალური ზემოქმედების შესამცირებლად დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები. საჯარო განხილვის დროს, დამსწრე საზოგადოებას ჰქონდა კითხვების დასმისა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება, რამაც ხელი შეუწყო ბუნებრივ და სოციალური მართვის გეგმა (ბსგმგ) და ARAP-ის საბოლოო ვერსიების შემუშავებას.

შეხვედრა გახსნა ქალბატონმა მარიამ ბეგიაშვილმა. მან ხაზი გაუსვა პროექტის დადებით მხარეებს, მათ შორის პროექტის ეკონომიკურ სარგებელს, ფეხით მოსიარულეებისა და მგზავრებისათვის გაზრდილ საგზაო უსაფრთოხებას, მგზავრობის დროის შემცირებას და დასაქმების შესაძლებლობის ზრდას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალების დასაქმების შესაძლებლობას, გზების მოვლა-შენახვის კომპონენტში, რაც არ გულისხმობს მძიმე ფიზიკურ დატვირთვას. ქ-ნ. ბეგიაშვილმა მაგალითად მოიყვანა კახეთში მსგავსი პროექტის განხორციელების დროს დასაქმებული ქალების ჯგუფი, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. ამასთან, ქ-ნ ბეგიაშვილმა აღნიშნა რომ, საქართველოს საგზაო დეპარტამენტსა და სამშენებლო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალიწინებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მშენებლობის, მონიტორინგისა და გზის ექსპლოატაციის

ეტაპებზე ქალების ჩართულობის წახალისებას.

საქართველოს საგზაო დეპარტამენტი და მშენებლობის ზედამხედველი კომპანია განახორციელებს მონიტორინგს, რათა მშენებელმა კომპანიამ უზრუნველყოს საქართველოს შრომის კოდექსით, ბსგმგ-ით და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი შეზღუდვები ტრეფიკინგისა და ბავშვთა დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნულმა ყველა დამსწრის, ქალისა და კაცის, თანაბარი ყურადღება დაიმსახურა.

შემდეგ სიტყვა ქალბატონ მაია ვაშაკიძეს გადაეცა. ქ-ნი მაია საჯარო განხილვაზე დამსწრე პირებს ესაუბრა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მეორადი და შიდასახელმწიფოებრივი გზების მნიშვნელობაზე. აგრეთვე, დამსწრეების გააცნო პროექტის ფარგლებში მომზადებული, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები, ისაუბრა დაგეგმილი საგზაო სამუშაოების შესახებ და გარემო პირობებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო ზემოქმედებაზე. ამასთან დამსწრეებს გააცნო პროექტის უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად დაგეგემილი შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთა განხორციელება იგეგმება როგორც რეაბილიტაციის, ისე გზის ექსპლოატაციის პერიოდში.

ქალბატონი მაიას შემდეგ სიტყვა გადაეცა სოციალური უსაფრთხოებისა და განსახლების კონსულტანტს, ლელა შათირიშვილს, რომელმაც ჩაატარა ყველა საჭირო კვლევა და მოამზადა შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა (ARAP) საქართველოს კანონმდებლობის, განსახლების ჩარჩო-დოკუმენტისა და მსოფლიო ბანკის დებულების (OP 4.12) მიხედვით.

ARAP-ის მომზადების პროცესში განხორციელებული მოქმედებების აღწერისას, მან ისაუბრა გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთებზე, გზის გასწვრივ არსებული მიწის ნაკვეთების მიმდებარე ღობეებზე შესაძლო დროებითი ზემოქმედების შესახებ. აგრეთვე, ახსნა დამოუკიდებელი ლიცენზირებული შემფასებლის მიერ დაზიანებული აქტივების აღდგენითი ღირებულების გაანგარიშების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო მასალების მიმდინარე საბაზრო ღირებულებას ამორტიზაციისა და ხარჯვადი მასალების ღირებულების დაქვითვის გარეშე.

მან დასძინა, რომ ღობეების განსხვავებული ტიპების მიხედვით დადგენილია კომპენსაციის ექვსი სხვადასხვა განაკვეთი (ლერი/გრძივი მეტრი) და ეს მონაცემები მოცემულია საინფორმაციო ბუკლეტში. თუ კონკრეტულ მონაკვეთზე მშენებლობის დაწყების მომენტისათვის დაუდგენელი იქნება ღობის მფლობელის ვინაობა ან მისი ადგილმდებარეობა, სამშენებლო კომპანიას უფლება ექნება საკუთარი ხარჯებით აღადგინოს დაზიანებული ღობე.

ქალბატონმა ლელა შათირიშვილმა დამატებით აღნიშნა რომ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ, ყველა პირს ექნება არჩევანის უფლება: მიიღოს ფულადი კომპენსაცია და სამუშაოების დასრულების შემდეგ აღადგინოს საკუთარი ღობე; ან უარი თქვას საკომპენსაციო თანხის მიღებაზე და დათანხმდეს პირობას, სამშენებლო კომპანიამ საკუთარი ხარჯით მოახდინოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ღობის აღდგენა.

ამასთან, დამსწრეებმა შეიტყვეს, რომ გზის სამუშაოების განხორციელების დროს, სამშენებლო კომპანიის ვალდებულება იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ღობის აღებისას

უზრუნველყოს დროებითი ზღუდარის მოწყობა, ან არსებული გადაიტანოს ისე რომ მიწის ნაკვეთზე არ მოხდეს უცხო პირების, ან საქონლის შეღწევა და არ დაზიანდეს მოსავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი იქნება სამშენებლო კომპანია.

მომხსენებელმა აგრეთვე ახსნა, გზის რეაბილიტაციის დროს დაზიანებული მსხმოიარე მრავალწლიანი ნაგავების კომპენსაციის მეთოდი და დასძინა, რომ კომპენსაციის განაკვეთები წარმოდგენილი იყო საინფორმაციო ბუკლეტის დანართში 2.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საჩივრების განხილვის მექანიზმს და პროექტის სრული ციკლის მანძილზე მოქმედ კომისიაში საჩივრების წარდგენის ეტაპებს.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გადავიდა.

ამით ოფიციალური საჯარო განხილვა დასრულდა.

ცხრილი 1. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები და განხილვის ორგანიზატორების მიერ გაცემული პასუხები

#	დამსწრე პირი	დასმული კითხვა	კონსულტანტის მიერ გაცემული პასუხი
1	ეს საკითხი ბევრ დამსწრე პირს აინტერესებდა	როდის დაიწყება სამუშაოები და რამდენ ხანს გასტანს?	საგზაო სამუშაოები დაიწყება, საერთაშორისო ტენდერით სამშენებლო კომპანიის შერჩევისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ამ საკითხების დასრულებას სავარაუდოდ ექვსი თვე მაინც დასჭირდება. თავად პროექტის ხანგრძლივობა დაახლოებით 5 წელია.
	ბ-ნი ასლან ქათამაძე	შეეხება თუ არა გზის სამუშაოები, გზაზე არსებულ ქარსაფარ ზოლს?	გზის რეაბილიტაცია არ გულისხმობს გზის სავალი ნაწილის გაფართოებას. ამდენად პროექტის ზემოქმედება მინიმალური იქნება. მაგრამ თუ სადრენაჟე მილების და არხების განახლების დროს მძიმე ტექნიკას გამოსაყენებლად საჭირო გახდა გზის პირას არსებული ხის მოჭრა, სამშენებლო კომპანია მშენებლობის დასრულების შემდეგ სანაცვლო ხეებს დარგავს.
2	ეს საკითხი ძირითადად მამაკაცებმა წამოჭრეს	ექნება თუ არა ადგილობრივ მოსახლეობას გზის სამუშაოების დროს დასაქმების საშუალება?	სამშენებლო კომპანიები ხშირად ცდილობენ რომ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები მოიძიონ ადგილობრივ მოსახლეობაში. გარდა ამისა, აღმასრულებელ სააგენტოსა და სამშენებლო კომპანიას შორის გაფორმებული კონტრაქტის ერთ-ერთი მოთხოვნა საგზაო სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება იქნება.
3	ეს საკითხი ქალeბმა წამოჭრეს	რა სახის სამუშაოები იქნება ქალებისთვის განკუთვნილი? შევძლებთ რომ თავი გავართვათ?	ეს შედარებით ახალი ინიციატივაა და გზების დეპარტამენტში მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით ინერგება. თუმცა, ამ კუთხით დეპარტამენტმა უკვე მიაღწია წარმატებულ შედეგს კახეთის რეგიონში, სადაც ადგილობრივი გზების პერიოდული მოვლა-შენახვის პროექტში რეგულარულ ხელფასზე

			რამდენიმე ათეული ქალია დასაქმებული. ჩვენ გვჯერა, რომ შესაძლოა თქვენც დაგაინტერესოთ ასეთმა სამუშაომ, რადგან ეს საქმე არ მოითხოვს მძიმე ფიზიკურ დატვირთვას და ხანგრძლივ სამუშაო საათებს, რაც ქალებს საშუალებას აძლევს ოჯახსა და შვილებს სათანადო დრო დაუთმონ.
4	ქ-ნი ნინო აბჟანაძე-გოლიაძე	გვექნება თუ არა იმ პირების საკონტაქტო ინფორმაცია ვისაც უნდა მივმართოთ იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების დროს რამე დაზიანდა?	დიახ, როგორც პრეზენტაციის დროს აღვნიშნეთ პროექტის მანძილზე ნებისმიერ დროს შეძლებთ მიმართოთ საჩივრების განხილვის კომისიას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. საინფორმაციო ბუკლეტის პირველ თავში სრული ინფორმაციაა საჩივრების განხილვის მექანიზმთან დაკავშირებით. საკონტაქტო პირების ნომრები იქნება სოფლის გამგეობაში განთავსებული. საჩივრის ფორმის ნიმუში ხილვა ჩვენს მიერ დარიგებულ საინფორმაციო ბუკლეტის პირველ დანართშია შესაძლებელი. *გარდა ამისა, ნებისმიერი სამუშაოს დაწყებამდე, კონტრაქტორი შეამოწმებს ყველა იმ შენობა-ნაგებობების ფიზიკურ მდგომარეობას, რომლებზეც მოსალოდნელია გზის სამუშაოების უარყოფითი ზემოქმედება და საგზაო სამუშაოების დროს დაზიანების შემთხვევაში აცნობებს ხელმძღვანელობას.*
5	ბ-ნი მამუკა ჯინჭარაძე	ზუსტად რომელ გზის მონაკვეთზეა საუბარი?	გზის დასახელებაა შ-46, რომელიც კვეთავს ქობულეთის რაიონის სოფლებს: ლეღვას, წყავროკას და მუხაესტატეს.
6	ბ-ნი დავით მენაღარიშვილი	რა იქნება გზის სიგანე? მკვეთრი მოსახვევების ნაცვლად შეიძლება ახალი გზის მონაკვეთის მოწყობა?	გზის გაფართოება არ იგეგმება, მაგრამ გზის დიზაინი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნა და ისეთ მონაკვეთებზე სადაც სახიფათო მოსახვევებია შესაბამისი უსაფრთხოების ზომები იქნება მიღებული. მოსახვევებთან განთავსდება გზის სარკეები, მწოლიარე პოლიციელები და აუცილებლობის შემთხვევაში გზა მცირედით გაფართოვდება.
7	ბ-ნი მირზა ხაჯიშვილი	რა ზომები იქნება მიღებული გზაზე არსებულ მეწყერულ ზონებთან დაკავშირებით?	*სამშენებლო კომპანია მოერიდება მაღალი ვიბრაციის წყაროებს; ა.უ. ნიადაგის ფენის დატკეპნის დროს მინიმუმამდე შეამცირებს ან საერთოდ არ გამოიყენებს მაღალი ვიბრაციის „კატოკს“, რათა არ დაზიანოს შენობები და კონსტრუქციები. იმ ადგილებში, ვიბრაციის შესუსტების მიზნით, გზის სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული იქნება თანამედროვე მეთოდოლოგია და ტექნიკური აღჭურვილობა. როგორც ავღნიშნეთ, ნებისმიერი სამუშაოს დაწყებამდე, კონტრაქტორი შეამოწმებს ყველა იმ შენობა-ნაგებობების ფიზიკურ მდგომარეობას, რომლებზეც მოსალოდნელია გზის სამუშაოების უარყოფითი ზემოქმედება. მშენებელი კომპანია შექმნის შესაბამის მონაცემთა ბაზას და მოამზადებს ასეთი ნაგებობების ნუსხას, სადაც აღწერილი იქნება ნაგებობის ფიზიკური*

			მდგომარეობა: ბზარების დახასიათება, დადგინდება მესაკუთრის/მფლობელის ვინაობა, და დაფიქსირდება შენობა ცარიელია თუ დაკავებულია მესაკუთრის მიერ. მშენებელობის პროცესში მოხდება ამ შენობების მდგომარეობის მუდმივი კონტროლი.
8	მერის წარმომადგენელი წყავროკის ერთეულში	გზასთან არსებული სახლები ხომ არ დაზიანდება?	გზის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა არ გულისხმობს არსებული გზის გაფართოებას. ამდენად, არ დგას საცხოვრებელი სახლების შესყიდვის საჭიროება. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ საგზაო სამუშაოები დასახლებულ პუნქტებში უსაფრთოხების ნორმების დაცვით განხორციელდება; ამასთან გატარდება ESMP -ში აღწერილი შემარბილებელი ღონისძიებები. მაგალითად: ა. ადგილობრივ მოსახლეობა ინფორმირებული იქნება საგზაო სამუშაოების გრაფიკის შესახებ. სამშენებლო კომპანია მოსახლეობას შეატყობინებს მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ. სამშენებლო კომპანია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე განათავსებს შეტყობინებებს წყლის, გაზის და ელექტრო ენერგიის მიწოდების შეფერხებასთან დაკავშირებით, რათა მოსახლეობა წინასწარ იყოს გაფრთხილებული უზრუნველყოს ასაკოვანი და მცირეწლოვანი ოჯახის წევრების უსაფრთოხება; ბ. საგზაო სამუშაოები ისე დაიგეგმება რომ მოსახლეობამ შეფერხების გარეშე შეძლოს გზაზე გადაადგილება; გ. სკოლებთან, საბავშვო-ბაღებთან, საავადმყოფოებთან, სტადიონებთან, მაღაზიებთან და მარკეტებთან საგზაო სამუშაოები სპეციალური უსაფრთხოების ნორმების დაცვით განხორციელდება. განთავსდება საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და გზის გამყოფები. ასევე, გამოიყოფა სპეციალური ჯგუფი რომელიც დაარეგულირებს მოძრაობას, ტერიტორიაზე მოსახლეობის უპრობლემო გადაადგილების მიზნით.

დანართი 1 დამსწრეთა სია

ადგილმდებარეობა/Location: ქობულეთი / Kobuleti

თარიღი/Date: 30/05/2019

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმის საჯარო განხილვის დამსწრე პირთა სია

№	სახელი, გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური, სოფელი და მისამართი	ხელმოწერა	შენ
1	[illegible]	599856482, ქობულეთი, ქვ. [illegible]	[illegible]	
2	[illegible]	557 227043, ქობულეთი, [illegible] 222ა	[illegible]	
3.	[illegible]	599 230 141, ქობულეთი, სოფ. ხაფყლიანი	[illegible]	
4.	[illegible]	599 850 852, ქობულეთი, სოფ. ჯვარისი	[illegible]	
5.	[illegible]	599 852 858 ქობულეთი [illegible]	[illegible]	
6	[illegible]	577 20-53-50 [illegible] 162ე. ბ.48	[illegible]	
7	[illegible]	599 85 63 60 [illegible] 13	[illegible]	
8.	[illegible]	595515150 ქობულეთი, [illegible]	[illegible]	

ადგილმდებარეობა/Location: ქობულეთი / Kobuleti

თარიღი/Date: 30/05/2019

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმის საჯარო განხილვის დამსწრე პირთა სია

№	სახელი, გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური, სოფელი და მისამართი	ხელმოწერა	შენ
9	[illegible]	555.00.47.80. ქობულეთი სოფ. [illegible]	[illegible]	
10	[illegible]	599856361 ქობულეთი	[illegible]	
11	[illegible]	599856345 ქობულეთი	[illegible]	
12	[illegible]	598 16 44 78	[illegible]	
14	[illegible]	595 21 91 41	[illegible]	
15	[illegible]	591 70 79 95	[illegible]	
16				
17				

ადგილმდებარეობა/Location: ქობულეთი / Kobuleti თარიღი/Date: 30/05/2019

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმის საჯარო განხილვის დამსწრე პირთა სია

№	სახელი, გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური, სოფელი და მისამართი	ხელმოწერა	შენ
20	[illegible]	593-38-07-41. [illegible]	[illegible]	
21	[illegible]	577 304165 [illegible]	[illegible]	
22	[illegible]	557 915397 [illegible]	[illegible]	